



ნახ. ლალი ჯამბანიძის

— აღარ რეკავს ზარს? მათეკლასელთა ბოლო გაკვეთილი  
ველარ დაგვიმთავრებია...  
— დაგვიკავს და, ყველა ქალაქი გაიქცევა!



ალამინის დანიშნულების საკითხი, სიკვდილსიკვდილის ურთიერთუმჯობესობის, ყოფნა-არყოფნის ზოგადსაკაცობრიო პრობლემები და სხვა მსგავსი ჭარბი ახლა მტკვარში როლიდა უყრია, რომ იქიდან ამოკრიფოს მწერალმა, თუნდაც გაჭირვებული ხელფეხსაგან მონაწილე სისხლისა და აქედან გამომდინარე სიკვდილის ფასად. არა, რა თქმა უნდა! თხევადი და რკინისეული ჭართით გამადარ მტკვარში დღეს მისი უძველესი მოზინადრის — თევზის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება ამ უკანასკნელის საზარალოდ! ეს არის და ეს!.. მტკვარს არ ცხადია დღეს მასში თავჩაქინდრული მწერლისათვის ხმის გასაცემად. უტყვია იგი, ვითა პირუტყვი, კი არ მიდუღუნებს, ჭართის ჭამითა და ქიმიის ხვრებით მითურთურებს და, დებულობს რა საწამლაკის უზომო ზომას ქალაქ რუსთავთან, გაშობილია შედის მოძმე რესპუბლიკის მინგეჩაურში. უსულოდქმნილი, აქ იგი ელსადგურულ ძალაშია პოვებს მექანიკურ ნეტარებას, ლექსის ნაცვლად, შობს დენს და, რკინის ძაბვაში ჩაქედლილი, უთვისტომო არწივის თვალის ბრიალით, ელექტროძალას ანაწილებს კავკასიონის სამხრეთ კალთებზე...

განა შინდარჩენილი ქართველი მწერალი გვრჩება უპრობლემებოდ? ცხადია, არა! მიუხედავად რკინა-ბეტონის ბინისეული ამბრა-



განვე სუსტი გახლდათ მწერალი. მწერლის ნიჭიერების ხარისხის ერთგვარ საზომადაც კი იყო მიჩნეული ერთი ხანობა ეს ფაქტორი, იმ დრომდე, ვიდრე ტექნიკური ჰეკა-გონების და განათლების მწერლებიც არ გაჩნდნენ ჩვენში ელექტროდული მოულოდნელი კავაშ-ვარვარით.

ბევრი კრიტიკული მულტფილმი, ბევრი „ფიტლი“ დამწვარი და გატრეცილი ამ უკვდავ პრობლემათა უკიდევანო, სანტექნიკურ გზებზე და მათმა მეტრაჟმა იქნება მიღმა მეტრაჟსაც აჯობოს და გადააჭარბოს, მაგრამ უკვდავი პრობლემებიც იმიტომ არიან უკვდავი, რომ უკვდავი არიან და უკვდავებად რჩებიან ბოლომდე!

თუ დროებით ვერ გაუღმა ბედმა შემოქმედს და ნაგვის მახანის მძღოლმა გაუმართა ხელი ნაგვის გორიდან ამონაქექი სანტექნიკური რამ ნაწილაკით, მყისვე მეორე, არანაკლებ საჭირობოტო ფიქრი შეიპყრობს მწერალს, ფიქრი იმაზე, თუ რა გზით და რანაირად ჩაახრახნოს მან ეს ნაწილი სათანადო ნაჩვრეტში. სანტექნიკოსი ხელოსანის შინაწყევლაზე უარს აცხადებს იგი, გამოცდილება კარნახობს ამას, თვითონვე იწყებს ხელმარჯვეობას, მაგრამ მარცხდება და წარკვეთილი იგი მწერალი ეძებს ამ საქმის ოსტატს. ეძებს და პოვებს, ბოლოს და ბოლოს, რჩეულთა რჩეულს. ნაცნობობით და მოძმეთა რჩევით მოიწვევს იგი ხელოსანს. თუმცადა ამ ფიქრსა და ოხვრა-რჩევებში გაუღის მწერალს ღვთისნაზობები ძვირსათები, ზოგჯერ — დღეებიც და, ბოლოს, როგორც უკვე მოგახსენეთ, ავტორი პოვებს რჩეულ ხელოსანს და მოწინებთ მოიყვანს სახლში.

ამის შემდეგ კი მწერალი იწყებს მარადიულ ფიქრსა და ჰემუნვას იმის გამო, თუ როგორ, რა სახით, რა ფასად გაუსწორდეს იგი სანტექნიკოსს, რამდენი მანეთი, თუმანი, თუ მეტი უნდა დაუმატოს მან ოფიციალური ტარიფს, რომ მომდურებული არ წაუვიდეს ხელოსანი და სახვალზეგო დაძახებისა უარი არ თქვას.

ბოლოს და ბოლოს, ფრთხილ, ჰუმანურ სახუარში, როგორც სხვევით შემოქმედთ ტომებს, საქმესა და საქმელს შუა, ხელოსანის გვერდით ჩოქბეჭეში მღვარი, დამხმარე მუშად მიმაგრებული ესე მწერალი მატერიალური დაინტერესებულობის პრინციპსაც გადაწყვეტს ხელოსანის სასარგებლოდ და, ოსტატის ღმილით გახარებული, თავაუღებლოვანაგრძობს შრომას ხელოსანის გვერდით, სიხარულით ხვდების და ხაზავს უდარეობით მორიალებულ ლაფსა და წყალს იატაკიდან.

დროდადრო ახალი, გაუთვალისწინებელი დეტალის საშოვნელად გატაქსავს და აფრენს სანტექნიკოსი დაოთხილ მწერალს. მწერალიც არას დაუძებს, ამოწუწული და მოთხვრილი ტანისამოსით

მიჭკრი-მოჭკრის სანტექნიკის ერთი მაღაზიიდან ქალაქის ბოლოს არსებულ მეორე მაღაზიაში. მერნისებურ ამ ქროლვა-ქროლვით, ჭლანვით, ვედრებით, წიგნაკთხეუნებითა და ყველა სამწერლო ტიტულთჩამოვლით პირმოქცეული, პირში ნანატრი დეტალის კრეჭვით კვლავ დაიოხხებს ხელოსანის გვერდით, დაჩოქბეჭენდება და დეტალგაჩრილი, კბილებდაკრეჭილი გაღიმებულსაც წა-



გაკს ცოტათი. ღმილი რომ არ უნდა მოაკლოს შემოქმედმა ხელოსანს, ეს კარგად იცის და იყრიება სანტექნიკური დეტალით პირში.

და ასე დაკრეჭილი და დაოთხილი ისმენს იგი სანტექნიკოსის მაცდურ მონოლოგს იმის შესახებ. თუ რა ჩინებულად გაუმართადა აუწყო მან ერთ მსცოვან მწერალს, დიდსა და გამოჩენილ ხელოვანს, სანტექნიკური კუჭ-ნაწლავები, ონკანები და ახაზანები. სამაგიეროდ, მადლიერების გრძნობით აღვსილმა იმ ცხონებულმა, რა ვინდა სულო და გულო, რა ფული და პური, დვინო და ტკბილი არ გადუშალა და არ აღავსო! ამის გარდა, წიგნ-აჩუქა ტყვავადაკრული, ავტორის ხელით მიძღვნილი და დაფასილი მიღებულ... ამის მოსმენით სულგანაბრულ შემოქმედს ეს ხელოსანი ფეხსაცმელს გახდის შინაურულად და სინთეტური ტყვის საჭირო დეტალს ამოჭკრის ლანჩის ტყვიდან ამ ქუსლიდან, ლიტინ-ლიტინით. თურმე, ნუ იტყვით და, ესეც ერთ-ერთი და უმთავრესი დეტალი არის ამ სანტექნიკურში. მოგაჭრის ტყვას და ჩახრის ონკანში. ამო გახლავთ ხვეწნა, მუღარა — „წავალ, ვიშოვი!“ რაც სანტექნიკური მაღაზიობანა და აღბეციეობანა არსებობს, თურმე, არავის ახსოვს, რომ ეს პაწია, მაგრამ მთავარი დეტალი „გაუიღვაში“ ვინმეს ენახოს! არა და არა! დიდცი, პატარაც, თურმე, ნუ იტყვით, მრავალტანჯული ფეხსაცმლის ძირიდან ქრის ამ ნაწილაკს — მილიონ ლიტრობით ძვირფასი სასმელი წყლის ფუჭად დაკარგვის ამ გადამჩენებს!..

გამოჭრის ამ პაწია, წყურა ფრჩხილისხელა სინთეტურ დეტალს ხელოსანი, დაუცობს მწუროთვარე ონკანს და გამარჯვებულად მიუჭდება სავაზში სუფრას. ბოლოს, გვიან დამატ. სხვრენდწ მინდაოს გადაჭრავს. წარსოვანი ეს ხელოსანი და, საქალაქო ტრანსპორტის ღამეული ძილის მომიჯნეებით, ტაქსის ფულსაც აძირობს შემოქმედს და ღმილით მიღის, უღვაშის ღერის დატოვებით და მომავალი შევლის პირობით.

\* \* \*

წმარბი მწერია, რომ იტყვიან და, ჩემამდე გარდაცვლილი ხელოვანის ბიოგრაფიას ვაშარიშურებ ამ პატარა ბარათის წამკითხველო და ჩემო მომავლო დამტირებელო! ვფურცლავ და ვფიქრობ, და ვასკენი, რომ განა დიდ „ყოფნა-არყოფნაზე“ დამიტხია დარბა უყელა და გაუთხელა გულის კედელი ცხონებულ ჩემს წინამორბედს? არა და არა! აი, ასეთი ვაი-პრობლემის, ვაი-ხელოსანის რიგმა და ჭარმა გატეხა ციხე, ამ გაიძვერა ხელოსანის გვერდით გაუთავებულ ჩოქბეჭეში ყოფნამ აართვა სული გარდასულ გეოსანს!..

ფიქრი გრძელდება მეორე დღესაც, დღესაც და ხვალაც...

როგორც ირკვევა და, რაც მთავარია, ამ შეკრულ წრედში, თურმე ნუ იტყვით და, ყველა მართალი ჩანს. მაღაზიის გამგე გარწმუნებს და ვისაბუთებს საფუძვლიანად, რომ ასეთი წვრილმანი სანტექნიკური დეტალი და პისი მსგავსი ბევრი უბრალო, მაგრამ ბრალიანი ნაწილიც არახოლდეს მიუღიათ. და თუ იშვიათად, მაგრამ მაინც მოდის სანტექნიკური საჭურველი მაღაზიაში. კომპლექტურ-ერთობლიურად მოდის და მისი დაშლა და ცალკე კიდევ არ შეიძლება!



ღურსმანი რომ დაგვირდეს ერთი, ან ორი ღერი და დაგებულნი იატაკი მოგაყიდონ, ასეა საქმე, თურმე ნუ იტყვით! ანდა, სიმის საყილად მისულ მევიოლინეს მთელი ორკესტრი რომ მიაციდონ, დირიჟორითურთ, კარგი იქნება? როგორი საქმეა მთელი ორკესტრი პატარა სახლში? არადა, არის, წვეთავს, დის, ჩადის, ხმაურობს, უკრავს, მღერის და ჰყვება სანტექნიკური დიდი ორკესტრი გაუთავებულს და უთავბოლო, უსიამოვნო ამ სიმფონიას...

მერაბ ელიოვიშვილი



ზურიდან გარეთგამოსვლელი ჯღომისა, მასაც ებადება უკვდავი თემები მარადისობისა და, რაც საკვირველი, მაგრამ ნიშანდობლივი გახლავთ, ისინიც სწორედ წყლიდან იწყებიან, წყლის მუდმივი წვეთიარობიდან იღებენ სათავეს. სასმელ-სარეცხი კამპა წყლის მომწოდებელი მილბების შეკავება მოშლილ ონკანებსა და დაზიანებული სანტექნიკის გაუთავებელ ჩხრიალში იშვება და უწყვეტ უკვდავებად ეფინება შემოქმედი კაცის მგარნობიარობას.

ახე იშვება წვა და ფიქრი შემოქმედისა, მარადიული ფიქრი იმის თაობაზე, თუ როგორ, რა გზით შეუნარჩუნოს მან მომავალ თაობებს უკვდავების ეს გაუთავებელი საბინაო-სანტექნიკური ჩუხჩუხი. საშარეულოს მარჯვთარ-მამბერალი ონკანის „წკაპი“, საცობმოქმული საბაზანოს „შხაპი“ და ბურხმოფლქვილი „უნიტაზის“ „თქაფი“, სამ ხმად შეკრულ, წკაპ-შხაპ-თქაფიანი ესამხროვნება ყურთასმენას, მარადისობის თანამდგურად სახლობს მრავალი თბილისელის ბინაში და, ცხადია, მწერლისა და შემოქმედის ბინაში — უფრო მეტად უპირატესად. ჩვეულებრივ მოქალაქესთან შედარებით, მწერლის ეს უპირატესობა იმდენადია, რამდენადაც სანტექნიკურ ჩირთილბაზობასა და მსგავს ხელმარჯვეობაში ოდით-





ნახ. 76

— ახერ, ჩვენს უფროსთან ავლივარ სახლში! შეუძლოდა! სომ არ ამოხვალ?  
— ახლა არა მცალია! ბაბიბე, თუ კაცი ხარ, რომელ სართულზე და რომელ ოთახში წივს?



ნახ. 78

— რას მატყვიან პირიან ზენაზე?  
— კაცს ჰგავს: ზოგი სამპირიანია, ზოგი — ორპირიანი, ზოგი — უპირი!

ნახ. 8. ლოლუასი



— კატისცემულ პროფესორო! თვითღირებულეაზე ნურავმარს შემეპითხებით და დანარჩენი, რაც ბინდათ, გკითხეთ!

# ნიქილისტს

ეროვნული  
გაზეთი

ქართულ ლექსს ისმენ, არ მოგწონს! პროზას კითხულობ, არ მოგწონს! მუსიკა გესმის, არ მოგწონს! სკულპტურას უმზერ, არ მოგწონს!

სპექტაკლს ესწრები არ ვარგა! ფილმს ნახულობ და: „არ ვარგა!“ ფერწერა, არქიტექტურა — „პრიმიტივია, არ ვარგა!“

საკმარისია უცხოურს ყური მოჰკრა ან დალანდო, მის სადიდებლად მზადა ხარ, ენა გაღესო, გარანდო!

სად აღმოცენდი, ნეტავი რა ფესვზე, რომელ ოჯახში? ან რა კულტურას ემონე შენ ნამყო-აწმყო-მყობადში?

მითხარ, ვინა ხარ ასეთი, გეცა რა ჭირი, ბნედაო, რომ დედინაცვალს ფიცგულობ, დაგვიწყებია დედაო?

წარსულს რომ არ გამოვუდგეთ, აწმყოზე გეტყვი, ძამია: ხელიხელსაგომანები ჩვენს ერს ბევრი აქვს, ძალიან! —

გალაკტიონის გენიამ დალაშქრა ლექსის მწვერვალში!.. ბევრი გვყავს კარგი პოეტი, ბევრი გვყავს ნაღდი მწერალი!..

ბევრი გვყავს ფუნჯის ოსტატი, ქვაში თუ ხეში მკვეთავი! (მათი ბადალი შემდგომშიც არ მოგვკლებოდეს, ნეტავი!)

ბევრი გვაქვს კარგი ფილმი და ბევრი გვაქვს კარგი მუსიკა! შენ კი გესლავ და წუწუნებ, აქლემს აკეთებ ბუზიდან!

ბლომად გვყავს ნაღდი არტისტი, სპექტაკლებიც გვაქვს საამო და, ნეტარების მომგვრელი, ბევრი გვაქვს კარგი სადამო!

მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს ჩვენს ფილმებს, ცეკვებს, სპექტაკლებს!.. შენ აგრეგია დავთარი — უცხო კულტურის ტყვეთატყვეს!

რამ აგადრინა, ნეტავი?! რამ გაგიტეხა გულია?! არ იცი, ვარდი, უებრო, რომ მხოლოდ ედემს რგულია?!

ქართველი კაცი, ოდითგან, სიბრძნეს ანდაზად ამბობდა: „ძალი რომ ღინ არ ვარგოდა, სულ გარე-გარე ვარბოდა!“

უცხოთ მონობას არ გირჩევ! გთხოვ, ღრმად იწამო შენია, თორემ, მშობლისგან გარიყულს, გაგიმწარდება დღენია,

გაგიმწარდება პურ-ღვინო, გაგიმწარდება სადილი!.. დღეს კი შენ შესაბრაღისი ნიჭიღისტი ხარ, ნამდვილი!

ლევან მილორავა

## რეპორაჟის შეშლავ

— ეს ხე სადაურია?  
— ბრაზილიური ბაობაბია, მარტო ჩამოტანა ოთხი ათასი მანეთი დამიჯდა!

— ლოჯიც გაგიმართავს!  
ჰო, ჩარჩოები წითელი კაკლისაა, შუშები პირდაპირ ქარხნიდან მოვხიდე, საავიაციოა, ტყვიავაუმტარი! სამი ათასი მანეთი დამიჯდა ლოჯი!

— აბაზანა და სამზარეულოც გავირემონტებია!

— კი! არაბული კაფელია, კვადრატულ მეტრში ორმოცდაათი მანეთი მივეცი. ორმოცდაორი კვადრატული მეტრი დამჭირდა საერთო ჯამში. გაკეთება ათას ხუთასი მანეთი, სულ — სამი ათას ექვსასი. სამზარეულოში კაფელის გაკვრას რვაასმარკიანი ცემენტი და 2000 კვერცხი დასჭირდა.

— როგორ?! მუშებმა შეჭამეს ამდენი კვერცხი?!  
— არა, კაცო! კვერცხი ცემენტის გასამაგრებლად ვიხმარე.

— არა, კაცო! კვერცხი ცემენტის გასამაგრებლად ვიხმარე.

— შენ, ძამო, მთელი ინკუბატორი დაგიტყვევია! ქსნის ციხეს ხომ არ აშენებდი?

— პარკეტი ფინური მუხისაა, ფიგურულად ჩაფაწყობინე. სტერეომპალერი — ათას ორასი მანეთი, ამდენივე — გაკვრა. „რა-კოვინა“ დასავლეთ გერმანულია, ქვისლის მამიდაშვილმა ჩამომიტანა საზღვარგარეთიდან... ეს შუქრეკლამიანი კედელი კი...  
— კი მაგრამ, საიდან?! რა საშუალებებით?!  
— პროცენტიანი ვალი ავიდე!  
— გასტუმრებას როგორღა აპირებ?

— კი მაგრამ, საიდან?! რა საშუალებებით?!  
— პროცენტიანი ვალი ავიდე!


— გასტუმრებას როგორღა აპირებ?  
— ცყილი ამ ბინას!

თაბაჯ ვიზილი









მემორბრული შარპი პ. შირცხალაშანი

**ჩვენი** ჟურნალის მთავარ ტექნიკურ რედაქტორს — **მიხეილ ლუპას ძე კახალაშვილს** — დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა.

თითქმის ორმოცი წელიწადია, იგი „ნიანგის“ უცვლელი ტექნიკური ხელმძღვანელი არის და დიდი წვლილი შეაქვს თითოეული ნომრის დროულად და ტექნიკურად მაღალ დონეზე გამოცემაში.

„ნიანგის“ რედაქციის კოლექტივი სულითა და გულით ულოცავს ღვაწლმოსილ ნიანგელს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურებრივ საქმიანობაში!

## მიხეილ კახალაშვილს

გულთან მიაქვს ყველა საქმე, ჟურნალ „ნიანგს“ რაც ეხება! არის სტამბის უსტაბაში! უცებ იცის გაცეცხლება!

როცა ბეჭდვა იგვიანებს, კლიშე დროზე არ კეთდება, ანდა ტექსტი არ იწყობა, მაშინ მიშა ყალყზე დგება!

მასალები მისი ხელით იზომება, მაკეტდება, იშრიფტება და სტამბაში მიფრინავენ რაკეტებად!

ადგილკომის თავაკაცია, დისციპლინას აღმერთებს და, თუ ის ვინმემ დაარღვია, აღელდება, აღენთება!

ახალგაზრდულ ძალებს იძენს და ყოველ დღეს ასე ხვდება, მიშას დადლა, დაბერება ტექნიკურად არ ხერხდება!

სულ ჰქონიდა სიძლიერე ძელქვის გამძლე ძირ-ფესვისა! კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაელიოს ძვირფას მიშას!

**ზაურ გოლჭავაძე**

## იხილეთ უხეილა

პრემიუმის დანახვა ქალებმა ისე შეიცხადეს, რომ ეტყობა, დიდი ხნის უნახავები იყვნენ.

— უი, ამას ვის ვხედავ?! შენ გენაცვალე, ლამარა!

— ლილი, ეს შენ ხარ?! დედა როგორ დამშვენებულხარ!

ცრემლმორეულმა, გულაჩუყებულმა ქალებმა ისე გადაკოცნეს ერთმანეთი, რომ ხელოვნურ წამწამებს ღერიც კი არ გააგდებინეს.

კაცებმა უსიტყვოდ, მაგრად ჩამოართვეს ურთიერთს ხელი.

— როგორა ხარ?! ისევ იქ ხარ?!

— კი! შენ როგორა ხარ?

— არა მიჭირს, ვართ ნელ-ნელა...

— მდაა! დაგვიძველდა პურ-მარილი!

— აბაა, მაგრამ, რა გინდა...

ქალები ისე გატაცებით ლაპარაკობდნენ, რომ გასული წლის მო-

დასავით გადაავიწყდათ ქმრები.

— შენ გულსუნდას ხომ იცნობ, ამირანის ცოლს?! გაქცეულა სახლიდან და ამირანის ბიძაშვილის მასლს გაყოლია!

— ეგ რაა... ჩვენი ბიჭიკოს ბიძა, აი, წარმოსადეგი კაცი რომ იყო... იცი, ის შენ, ქალო! 19 წლის გოგო შეურთავს...

— იმ მოხუცს?!

— აბაა... დედა, რა შესანიშნავად გაქვს კანი! ისევ ტომასთან დადიხარ?

— არა, გენაცვალე! სად მაქვს სენსში 40 მანეთი გადასახადი!

— მასეთი მემვირეა ეგ საზიზღარი?

— სულ გატუტუცდა! ახლა ზინასთან დავდივარ და პატიოსნად 35 მანეთს მართმევს.

— სად ცხოვრობს, თუ და ხარ? აუცილებლად მითხარი!..

— შენი ლეო ძალიან სოლიდური გამხდარა.

— შენი მურმანი? პირდაპირ კლარი ვიციხნი. შენ წარმოიდგინე, უხდება ჭალარა.

— ეგ, რომ იცოდე, რა ფასად დაუჯდა ეგ ჭალარა... რაც ესენი შრომობენ...

— მასე არაა ჩემიც?! მოვა დაქანცული სახლში, ისადილებს, მიუჯდება ტელევიზორს და მაშინვე ჩაედინება...

— იმიტომაა, გენაცვალე, რომ ასეთ ადგილებში თუ შევხვდებით... ესეც რომ არ იყოს, რა გვეშველებოდა!..

— რა ლამაზი კაბა გაცვია! ვის შეაკერინე?!

— მანანას. რა ვქნა, მე 100 მანეთზე მეტს ვერ მივცემ.

— აბა, აკი 150-ზე ავიდაო? გაგაგიჟებს ეს ხალხი!

— კარგი ახლა, გეყოფათ! — წასჩურჩულეს ქმრებმა, — გამოყავთ მიცვალეული!..

ზ. ყორღანაშვილი

## გამოსვლი

ნ.ს. ჯ. ლოლუასი

სადაც უნდა იყო: რიგში, ტრანსპორტში თუ სამსახურში. ოჯახში თუ, სადმე, სტუმრად. — გაგანია ამ ზაფხულში, — სულ ერთია, ქარხანაა, ფაბრიკა თუ აგარაკი, — მისაღები გამოცდების ირგვლივ არის ლაპარაკი: — ძალით ჩაჭრეს! შენ რა იცი?! — სამიანი არა კმარა! — ჩემმა კარგად უპასუხა, მისმა სულ ვერ ჩააბარა, მაინც იმას დაუწერეს! — არ გათენდა, ბეჩა, ჩვეთვის! — ოთხი აქვს და ვერ მოხვდება! — დედა, დედა! ეს რა მესმის! — ვეძებ და ვერ ვიპოვე, გაზრდილი მყავს დასავითა! — იმიტომაც იმალება ახლა თხუნელასავითა! — თავის სახლში აღარ ათევს. ვეღარ ნახავ, რომ გჭირდება! დამთავრდება გამოცდები, მერე გამოგეჭიმება!.. მას ლანძღავენ, ვინც ასეთ დროს პროტექციას გაერიდა! სუნთქავს მთელი საქართველო გამოცდების ჰაერითა!.. მალე ახალ სტუდენტთა ხმა გადაწვდება ყველა მხარეს, თითქოს მთელი გამოცდები მხოლოდ იმათ ჩააბარეს!



უსიტყვოდ



# ნიანგის ფოსტა



— რა დაეპყა ამ სწყალმა, ეიბს, დასვენების მაგივრად, სირობილი რომ დაუნინავს? — იმდენი შუუჭამია, რომ ვეღარ ინეღმება!

## კომპანენსია

პუნების ნაირ-ნაირი მოვლენებისაგან სახეგარეულმა ფოსტალიონმა შაქრომ დეიდა თებროლეს ლამაზი კონვერტი ჩაუღო ხელში, გამხდარ მხარზე ჩანთა გაისწორა და ზანტად განაგრძო გზა.

დეიდა თებროლე ყურადღებით დააქვერდა კონვერტს, შემდეგ ფრთხილად გახსნა და სიამაყით აეხიო სახე, როცა მასში წითელღრბიან, ლამაზ ბლანკზე დაბეჭდილი თავისი განცხადების პასუხი აღმოაჩინა, წამსვე გაიკეთა სათვალე და მარცვალ-მარცვალ დაიწყო კითხვა:

„სოფელი ხილიანა, მოქ. თებროლე თავმდაბლი-შვილს. გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაში დას-მული საკითხები ჩვენს კომპეტენციაში არ შედის და გგი ჩავაქვერეთ საქმე № 3-ში, გვ. 47. განყოფილების გამგე ვ. დიდუფრაშვილი“.

დეიდა თებროლემ ერთხანს დააყოვნა, შემდეგ სათ-ვალე შეისწორა და წერილს დაძაბულად დააქვერდა.

— კომპეტენცია, ნეტავ, რას ნიშნავს ეს სიტყვა? — გაიფიქრა მან და ირგვლივ მიმოიხედა, — აბა, ერთი ვინმეს ეკითხო, იქნებ, კარგი სიტყვაა, ქა- — კატო, ჰეი, კატო! — გასძახა მეზობელს, — ერ-თი შითხარი, შენს გახარებას, რას ნიშნავს, სიტყვა კომ... დაიცა, დაიცა, ერთი წავიკეთხო — კომ-პეტენცია-ი ა?

კატომ შუბლი შეიკუმუნა, უცბად ბრძნული პოზა მიიღო და აუჩქარებლად უპასუხა:

— თუ არა ვცდები, მგონი, კომპოტის დამზადების დროს, ქილეების აღლუბას უნდა ნიშნავდეს.

— რას ამბობ, ქალო?! მწერენ, ჩვენს კომპეტენცია-ში არ შედისო!

— თუ არა ვცდები, — ისევ ბრძნული სახე მიიღო კატომ, — კომპოტის ქილეების სახურავების ხარისხზე უნდა იყოს ლაპარაკი. ალბათ, წყალი არ შედის!

— რას გადაევიდე, ქალო, ამ კომპოტს?! ერთი შენს ქმარ გიორგას პკითხე, იქნებ, იმან იცის!

კატო შებრუნდა სახლში და მალე გამოვიდა:

— გიორგამა თქვა, თებროლემ თუ არ იცის, რას ნიშნავს ეგ სიტყვა, რაღას ჩივისო. თანაცა თქვა, მგო-ნი, კომპოტის ქაღალდი უნდა იყოს, იმ დღეს თენზე რომ მოვიხვიეთ.

ბოლოს ისევ წერილის ავტორმა — განყოფილების გამგე დიდუფრაშვილმა აუხსნა კომპეტენციის მნიშვნელობა, როცა დეიდა თებროლე აოხით დააღდა მას თავზე.

— კომპეტენცია, დედიჯან, როგორ გითხრა, კომპი-ტენციაა, რა აი, ქართულად, მგონი, ნიშნავს „ჩემი საქმე არ არის!“ ან „სხვის საქმეში ნუ ერჩები!“ და ასე შემდეგ.

— მეოე, შე ოჯახორო, რაზე მაწვალდები ამ-დენს?! ბარემ მოვეწერა. შენი განცხადება კომპოტის ქაღალდად ვაქციეთ და გიორგას მოვახვიეთ თენზეო!

საშურიდან, გაგარინის ქუჩაზე მდებარე 60-ბინიანი სახლის მცხოვრებნი, გვწერდნენ: სიტყვა „კეთილმოწყობას“ „კეთილი“ რომ გამოვავლოთ, ასე ვართ მოწყობილები. არა გვაქვს სახლთან მისასვლელი გზა, სასმელი წყალი და გათბობა. თუმცა ახლა გათბობა აღარ გვჭირდება, მაგრამ იმედია, ზამთარი კიდეც დადგება.

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა საქ. კომპანენსიის რაიონის, საიდანაც პასუხი მივიღეთ: „...საქალაქო საბჭოსა და სამშენებლო ორგანიზაციის მიერ გატარებული იქნა რიგი ღონისძიებანი არსებული მდგომარეობის გამოსწორებლად. კერძოდ: საცხოვრებელ სახლში ჩაირთო ბუნებრივი გაზი გრაფიკის მიხედვით ყველა სართული შეუფერხებლად მარაგდება სასმელი წყლით, შეკეთდა ზოგიერთ ბინაში თბოგაყვანილობის ექსპლოატაციის დროს გამოვლენილი დეფექტი.“

...რაც შეეხება ქუჩის კეთილმოწყობას, იგი, ძირითადად, დაზიანდა საცხოვრებელი სახლის გარე კომუნიკაციების ჩაწყობის დროს. მომავალ წელს გათვალისწინებულია მისი მოსვალტება და განათების სამუშაოების ჩატარება“.

„ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის მცხოვრებნი სასმელი წყლის ნაკლებობას განვიცდით. გთხოვთ დაგვეხმაროთ!“ — ასეთი შინაარსის წერილი მოვიდა რედაქციაში აღნიშნული წერილი ხობის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გადაეგზავნა. აღმასკომმა გვიპასუხა: „...საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით შედგენილ იქნა წყალსადენის მშენებლობის პროექტი, ეგრეთწოდებული „ხობის წყალსადენი“, რომლის დამთავრების შემდეგ უზრუნველყოფილი იქნება სოფელ პირველი მაისის მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნა“.

თბილისიდან (ოქტომბრის რაიონი) გრომოვის ქ. № 14-ის მცხოვრებნი გვატყობინებდნენ: ქუჩაში განათება არ გვაქვს, სახლში კი — სასმელი წყალი. რედაქციამ წერილი ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ: „...გაცნობებთ, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტები შეეფერება სინამდვილეს, ზემოაღნიშნულ ქუჩაზე ელნათურების დაზიანებანი დღესთვის გამოსწორებულია და ქუჩა განათებულია, რაც შეეხება წყლის მიწოდების საკითხს, ჩვენს მიერ ეცნობა წყალკანლის სამმართველოს, რათა მიიღოს საჭირო ზომები წყლის შეუფერხებელ მიწოდებისათვის“.

თბილისიდან თემქის დასახლების III მიკრორაიონის V კვარტალის 14-ა და 14-ბ კორპუსების მცხოვრებნი, თავიანთ წერილში, ბინის უხარისხობას გულისტკივილით აღნიშნავდნენ. რედაქციამ წერილი ლენინის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა. აღმასკომმა გვიპასუხა: „...14-ა და 14-ბ კორპუსები საუწყებოა და ეკუთვნის გეოლოგიურ სამმართველოს. შემოწმებით ფაქტები დადასტურდა და დადგინდა, რომ აღნიშნული კორპუსები ექსპლოატაციაში შევიდა მთელი რიგი სამშენებლო დეფექტებით.“

...ჩვენს მიერ აღნიშნული დეფექტების სასწრაფოდ მოსაწესრიგებლად საკითხი დაისვა გეოლოგიურ სამმართველოს წინაშე.“

ამასვე ამბობენ, თემქის დასახლების III მიკრორაიონში კერ რადიოც არ გაუყვანიათ, მიუხედავად იმისა, რომ საკითხის შესახებ ერთხელაც იყო ლაპარაკი.

ნახ. ჯ. ლოლუასი



ნახატი თემების ავტორები: ლ. ხურბოძე, ბ. ლომიძე, მ. აბაშიძე, ნ. იხუტაძე, მ. ცოტაძე, ბ. ფიჭუაძე, უ. სიხარულიძე, დ. ლალაბერიძე.

საბავშვო კოლეგია: ჯ. ბოლქვაძე (მთ. რაი. მოადგილე), ჯ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომიძე, ნ. აბაშიძე, ნ. იხუტაძე, მ. ცოტაძე, ბ. ფიჭუაძე, უ. სიხარულიძე, დ. ლალაბერიძე.

ბ. ნიშნავს (პ.გ. მღვანის), ბ. ფიჭუაძე, მ. აბაშიძე, მ. ცოტაძე, ბ. ფიჭუაძე, უ. სიხარულიძე, დ. ლალაბერიძე.

განომტვივლეთ, ბ. აბაშიძე, ბ. ფიჭუაძე, უ. სიხარულიძე, დ. ლალაბერიძე.

ფიჭუაძე ნაბაბი ფურცელი 1. სალარებო-საბავშვო ფურცელი 14. მ. ცოტაძე, ბ. ფიჭუაძე, უ. სიხარულიძე, დ. ლალაბერიძე.

ნაქ. «ნიანგი». © Издательство ЦК КП Грузии. Типография Издательство ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 98-19-42, 98-10-78, 98-49-32.

მისამართი რედაქტორი  
 ჯორჯანა კამაგაშვილი


482  
 13.VII



ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნები  
მიმართ პენტაგონი აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საგარეო  
76187



აგსოლუბური სმენა.